ხელშეკრულება №60
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი

7 დეკემბერი 2021 წელი

ერთი მხრივ, შპს „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი“ (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ლობჟანიძის სახით, და მეორე მხრივ ი/მ თორნიკე მერმანიშვილი (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია: შპს ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის შენობაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების (CPV45300000) ჩატარება (შემდგომში სამუშაო/შესყიდვის ობიექტი), წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, ხარჯთაღრიცხვის (ხელშეკრულების დანართი) და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (NAT210021441).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **24000.46 (ოცდაოთხიათასი ლარი 46 თეთრი)** ლარი;
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს (მომსახურების) მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
2.3 დაფინანსების წყარო - საკუთარ სახსრები.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დოკუმენტის) საფუძველზე;
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სამუშაოს მიღება ჩაბარების წესი

4.1 სამუშაო ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება შპს „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის“ დირექტორს, ნანა ლობჟანიძეს (მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილ პირს).

5. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ.№5.
5.2 სამუშაოს მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში იანგარიშება სამუშაოს საბოლოო ჩაბარების თაობაზე ინსპექტირებაც.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1 უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
6.2.2 დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1 შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხისა და სტანდარტების სამუშაო, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
6.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას განახორციელებს შპს „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის" დირექტორი, ნანა ლობჟანიძე (მისი არყოფნის შემთხვევაში, შესაბამისად უფლებამოსილი პირი);
7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;
7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. გარანტია

8.1 საგარანტიო მომსახურება უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პერიოდში ნებისმიერი ხარვეზისა და დეფექტის აღმოფხვრაზე (შეკეთება/შეცვლა ახლით) გარდა შემსყიდველის მხრიდან გაუფრთხილებლობით გამოწვეული მექანიკური დაზიანებებისა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულება არ განიხილება და ჩაითვლება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება ან/და

შეუსრულებლობა.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოთხოვოს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ჯამური რაოდენობა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების და-დგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5 ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეს არ ართმევს უფლებას დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
10.6 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;
10.7 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
10.8 იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა, რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან

ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.
12.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაჭრის გზები

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
15.4 ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: **შპს „ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი“**	**მიმწოდებელი:** **ი/მ თორნიკე მერმანიშვილი**
მისამართი: ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. № 5	მისამართი: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. № 57ა, ბ. 31
საიდენტიფიკაციო კოდი: 212677566 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკის“ ქუთაისის ფილიალი, TBCBGE22 ა/ა : GE39TB0358836080100003	საიდენტიფიკაციო კოდი: 60001122423 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“, ქუთაისის ფილიალი, BAGAGE22 ა/ა : GE53BG0000000105637900GEL
დირექტორი: ნანა ლობჟანიძე	ი/მ თორნიკე მერმანიშვილი

Kutaisi Regional Blood Bank LTD

Digitally signed by Kutaisi Regional Blood Bank LTD
DN: cn=Kutaisi Regional Blood Bank LTD, 2.5.4.97=NTRGE-212677566, o=••• •••••••• ••••••••••• ••••••• •••••, c=GE
Date: 2021.12.07 12:12:37 +04'00'

Tornike Mermanishvili 60001122423

Digitally signed by Tornike Mermanishvili
Date: 2021.12.07 13:07:16